ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7989435

ნომერი: AR11149402

თარიღი : 30.06.2026

გაცემის თარიღი : 03.07.2026

გაცნობის თარიღი : 03.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N 51;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიკო აბესაძე პ/ნ 01024028503
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 6 ბ. 43

ორგანიზაცია:
- შპს ვაით სტუდიო კოდი: 404934372

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 30 ივნისს №AR11149402 განცხადებით მომართა სოფიკო აბესაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებით დაეთანხმა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №51-ში მდებარე №01.14.06.007.045.01.01.132, №01.14.06.007.045.01.01.133 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების გამიჯვნა/გაერთიანების და №01.14.06.007.045.01.01.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართის გამიჯვნის შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ გადაწყვეტილებაში საპროექტო ფართების საკადასტრო კოდები არასწორად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორება.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2025 წლის 18 დეკემბერს, №AR11122178 განცხადებით, მოთხოვნილ იქნა, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №51-ში მდებარე №01.14.06.007.045.01.01.132, №01.14.06.007.045.01.01.133 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების გამიჯვნა/გაერთიანების და №01.14.06.007.045.01.01.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართის გამიჯვნის შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის №132, №133 და №134 საცხოვრებელი ბინების არსებული გეგმა-ნახაზები. სამსახურმა იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში არასწორად დაფიქსირდა საცხოვრებელი ბინების/საპროექტო ფართობების საკადასტრო კოდები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებაში და სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №51-ში მდებარე №01.14.06.007.045.01.01.132, №01.14.06.007.045.01.01.133 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების გამიჯვნა/გაერთიანების და №01.14.06.007.045.01.01.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართის გამიჯვნის (ცეცხლმედეგი გამმიჯნავების მოწყობას) შესაძლებლობაზე შესაბამისი თანხმობის მიღებას პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №51-ში მდებარე №01.14.06.007.045.01.01.132, №01.14.06.007.045.01.01.133 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების გამიჯვნა/გაერთიანების და №01.14.06.007.045.01.01.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართის გამიჯვნას (ცეცხლმედეგი გამმიჯნავების მოწყობის შესაძლებლობას).

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7877114 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge